

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №----

ქ. ოზურგეთი

„----“ მაისი 2018 წ.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 93-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის და „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

და ა დ გ ი ნ ა:

მუხლი 1. შემოღებული იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი.

მუხლი 2. დადგინდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთები:

1. თითოეულ სამორინეს მაგიდაზე – კვარტალში 20 000 ლარი;
2. თითოეულ სათამაშო აპარატზე – კვარტალში 2 000 ლარი;
3. თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე – საპრიზო ფონდის 10%;
4. სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე – კვარტალში 250 000 ლარი;
5. ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 20%;
6. აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე – კვარტალში 7 000 ლარი;
7. თითოეულ კლუბის მაგიდაზე – კვარტალში 6 000 ლარი.

მუხლი 3. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ანგარიშგებისა და გადახდის წესი განისაზღვრება „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით.

მუხლი 4. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 2 დეკემბრის №42 დადგენილება (www.matsne.gov.ge ვებგვერდი, 04/12/2015 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 210020010.35.113.016249).

2. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 13 თებერვლის №4 დადგენილება (www.matsne.gov.ge ვებგვერდი, 14/02/2017 სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250000.35.171.016135).

მუხლი 5. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით დარჩია

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

2. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა) პროექტის შემუშავების საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი, 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.ბ“ ქვეპუნქტი, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 93-ე მუხლის მე-2 ნაწილი, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონი და ადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის ოდენობებს.

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ბ.ა) წარმოდგენილი ნორმატიული აქტის პროექტი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს ორგანულ კანონში ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ცვლილების შეტანის შესახებ“ (ვებგვერდი, 29/07/2017 სარეგისტრაციო კოდი 010250000.04.001.016203) მე-2 მუხლის მე-5 ნაწილთან, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტების საკრებულოებმა 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 6 თვის ვადაში უნდა უზრუნველყონ ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობა.

ბ.ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

3. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

4. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2018 წლის 25 მაისი.